სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.260.020.35.121.000.471

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16

2010 წლის 13 აგვისტო

ქ. ვანი

ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის (რაზმის) დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 11 ოქტომბრის №81 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.კაკაბაძე

დანართი №1

ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საგანგებო სიტუაციების მართვის მუნიციპალური სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე შექმნილი ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც არსებული კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვას, ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს და ახდენს საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ხელშეწყობას, ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, ატარებს საავარიო-სამაშველო სამუშაოებს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში;
2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ კანონის, „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კანონებისა და მათგან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტების, აგრეთვე საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის სამართლებრივი აქტების საფუძველზე, დადგენილი წესით;

3. სამსახური ანგარიშვალდებულია ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების წინაშე;

4. სამსახურის კომპენტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

5. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, საჯაროობის, საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მოსახლეობის წინაშე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, თავის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით;

6. სამსახურს შეიძლება ჰქონდეს დოკუმენტების სარეგისტრაციო შტაბი, ბლანკი და ბეჭედი.

7. სამსახურის დაფინანსების წყაროა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

8. სამსახურის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი

9. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. ვანი, თავისუფლების ქ.№84/1.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ნოემბრის დადგენილება №29 – სსმV, №49, 11.11.2010წ.,მუხ.1425

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურის სტრუქტურა შედგება უფროსის, განყოფილებებისა და დარგის სპეციალისტებისაგან.

2. სამსახურის განყოფილებებია:

ა) სახანძრო დაცვის განყოფილება;

ბ) სამაშველო განყოფილება.

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელების ხელშეწყობა;

2. მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და ამ სიტუაციების ლიკვიდაციის მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის" შესაბამისად;

3. საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი ძალებისა და საშუალებების გამოყენების ოპერატიული ხელმძღვანელობა, კომპეტენციის ფარგლებში;

4. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღკვეთის მიზნით, ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების სახანძრო ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება, კანონის დადგენილი წესით;

5. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულების კონტროლი იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, რომლებიც წარმოადგენენ ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებს;

6. საგანგებო სიტუაციებში მოსალოდნელი ზარალის შემცირების, ხანძრების პრევენციისა და მათი ლიკვიდაციის მიზნით წინადებებების მომზადება, ღონისძიებათა კომპლექსური გეგმის შემუშავება და განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში;

7. დაქვემდებარებულ დანაყოფებში ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზებისა და განხორციელების წესის დაცვის უზრუნველყოფა, ტაქტიკური და პროფესიული მომზადების დონის ამაღლება და კონტროლი, კომპეტენციის ფარგლებში;

8. სამაშველო ღონისძიებების განხორციელება ადამიანების სიცოცხლის დაცვის მიზნით;

9. საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით, საწარმოებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის რეკომენდაციებისა და მითითებების მომზადება, კომპეტენციის ფარგლებში;

10. უწყებების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირებისა და მოსახლეობის ინფორმირება საგანგებო სიტუაციებში მოქმედების აუცილებელი წესების თაობაზე;

11. საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების კოორდინირება, სათანადო ძალებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა და ამ მიზნით აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად წინადადებების მომზადება, კომპეტენციის ფარგლებში;

12. საგანგებო სიტუაციების სახანძრო უსაფრთხოებისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების თაობაზე წინადადებების მომზადება და გამგებლისათვის წარდგენა;

13. სახანძრო მოთხოვნების დარღვევის ან მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ექსპლოატაციის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერება, კანონით დადგენილი წესით;

14. საგანგებო სიტუაციების შედეგად წარმოქმნილი მატერიალური ზარალის განსაზღვრაში მონაწილეობა, კომპეტენციის ფარგლებში;

15. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმებით ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კომპეტენციის ფარგლებში;

16. აუცილებლობის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციებისა და საქართველოს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით, გასატარებელ ღონისძიებებში მონაწილეობა და ერთიანი სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა;

17. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და ამ სიტუაციებით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების მხარდაჭერის მიზნით (თუ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები და საშუალებები არ არის საკმარისი) წინადადებების მომზადება ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებთან თანამშრომლობისათვის კანონით დადგენილი წესით;

18. ომისა და მშვიდობიან პერიოდში სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ორგანიზება საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით;

19. ინფორმაციის მიღება, დამუშავება და მიწოდება საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის, საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიების დაცვის სფეროში;

20. აუცილებლობიდან გამომდინარე, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება მოსახლეობის ევაკუაციისა და საევაკუაციო ღონისძიებათა უზრუნველყოფის შესახებ;

21. მონაწილეობის მიღება ჰუმანიტარული დახმარების განაწილების ოპერაციებში („საქართველოს კანონის „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისა და მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ მე-12 მუხლის საფუძველზე);

22. მონაწილეობის მიღება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში, კომპეტენციის ფარგლებში;

23. მიღებული კორესპონდენციების განხილვა და შესწავლა;

24. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის შესაბამისი თანამდებობის პირების დავალებების შესრულება.

მუხლი 4. სამსახურის განყოფილების ფუნქციები

1. სახანძრო დაცვის განყოფილება:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელება;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედევობას დაქვემდებარებული ობიექტების ღამის საათებში შემოწმების ორგანიზება და გამოვლენილ ნაკლოვანებებზე სათანადო ზომების მიღება;

გ) ხანძრისაგან სახელმწიფო და მოქალაქეთა ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად, სახანძრო პროფილაქტიკური სამუშაოების გაუმჯობესების მიზნით, წინადადებებისა და ღონისძიებების გეგმების მომზადება. სამსახურის სამოქმედო ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრების აღრიცხვაზე, შესწავლასა და ანალიზის კონტროლის დაწესება;

დ) ცეცხლმაქვების დამუხტვის, ცეცხლგამძლე ხსნარებით ხის კონსტრუქციების დამუშავებისა და სხვა ჩატარებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი;

ე) ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების წლიური და კვარტალური გეგმების შედგენა ზემდგომი ორგანოების მითითებებისა და ხანძრიანობის სტატისტიკის გათვალისწინებით;

ვ) რაზმებში პირადი შემადგენლობის ოპერატიული-ტაქტიკური მომზადების ორგანიზება, სახანძრო ტექნიკური სწავლებების ჩატარება;

ზ) მუნიციპალიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების კონტროლი, მისი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;

თ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზება;

ი) მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების ორგანიზება კომპეტენციის ფარგლებში;

კ) ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების მომზადება და დანიშნულებისამებრ წარდგენა;

ლ) სამსახურის დანაყოფებში სახანძრო, სამაშველო ტექნიკისა და ტექნიკური შეიარაღების დანიშნულებისამებრ გამოყენების კონტროლი;

მ) შრომის, დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნების შესრულების კონტროლი;

ნ) დანაყოფებში საგანგებო დაცვის წესებისა და ნორმატივების სწავლების ორგანიზება;

ო) ხანძრებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს განყოფილებაში მორიგეობიდან თავისუფალი პირადი შეკრებისა და მათი სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაბმის ორგანიზება;

პ) სარეგლამენტო დოკუმენტების მომზადება, კომპეტენციის ფარგლებში.

2. სამაშველო განყოფილება:

ა) ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილება;

ბ) მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო თავდაცვის ნაგებობების (თავშესაფრები, მართვის პუნქტები, რადიაციასაწინააღმდეგო საფრები, სარდაფები) ექსპლოატაციისა და მოვლა-პატრონობის მდგომარეობის კონტროლი;

გ) თავდაცვის ნაგებობების უკანონო მითვისების ან გასხვისების შემთხვევებში შესაბამისი ზომების მიღება;

ე) საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზების წესის განსაზღვრა;

დ) დაცვითი ნაგებობების გამართულობასა და სამოქალაქო უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლის განხორციელება;

ე) განყოფილების სამუშაო გეგმების შემუშავება სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში;

ვ) სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში მუნიციპალიტეტის საწარმოებსა და ორგანიზაციებისათვის წინადადებების მომზადება;

ზ) სამოქალაქო თავდაცვის სისტემაში შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციების მომზადება;

თ) ქალაქში არსებული თავდაცვის ნაგებობების ადგილმდებარეობის კატეგორიების მიხედვით აღრიცხვა, მათი დაცვითი ხარისხის, მოსახლეობის ტევადობისა და მისამართების მითითებით;

ი) მუნიციპალიტეტის მასშტაბით საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზება;

კ) საგანგებო სიტუაციების შემთხევაში გასატარებელი ღონისძიებების სატრანსპორტო უზრუნველყოფა;

ლ) საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულებით დამტკიცებული ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და ტექნოგენური ხასითის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და სამოქალაქო თავდაცვის გეგმების მომზადების ორგანიზება;

მ) საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზების წესის განსაზღვრა;

ნ) დანაყოფებში საგანგებო სიტუაციების წესებისა და ნორმატივების გაცნობა;

ო) განსაკუთრებულ შემთხვევებში დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების მხრიდან ხანძრებისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით კონსულტაციების მიღება სარეგლამენტო დოკუმენტების მომზადება, კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 5. სამსახურის უფლებები და მოვალეობები

1. სამსახურს ულება აქვს:

ა) მიიღოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის გამგეობას დაქვემდებარებული საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, თავის ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით დადგენილი წესით;

ბ) საგანგებო სიტუაციებში მუნიციპალიტეტის ოპერატიულ სამსახურებთან კოორდინირებული მოქმედებების, ურთიერთმოქმედების ინსტრუქციით განსაზღვრული წესების კორექტირება;

გ) მოამზადოს წინადადებები სამსახურის წლიური ხარჯების თაობაზე და აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი ხარჯების გაწევის შესახებ, კომპეტენციის ფარგლებში;

დ) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში წარდგენილი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებისას, კომპეტენციის ფარგლებში;

ე) მოამზადოს წინადადებები და მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) ითანამშრომლოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მედიასაშუალებებთან, იზრუნოს საზოგადოების სისტემატურ ინფორმირებაზე სამსახურის საქმიანობასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით;

თ) დადგენილი წესით განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რაც დაკავშირებულია დებულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებასთან;

ი) იქონიოს ერთიანი სატელეფონო ნომერი;

კ) იქონიოს სპეცტექნიკა სპეციალური ციმციმითა და ხმოვანი სიგნალებით.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) პასუხი აგოს მისთვის გადაცემული ქონების შენახვასა და მოვლა-პატრონობაზე;

ბ) კეთილსინდისიერად შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, უზრუნველყოს ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება;

გ) იქონიოს ერთიანი სტანდარტული ფორმის ტანსაცმელი განმასხვავებელი ლოგოთი.

დ) ანგარიში წარუდგინოს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს თავისი საქმიანობის შესახებ;

ე) მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგინოს ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების ხარჯვასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

ვ) მოამზადოს ინფორმაციები თვითმმართველი მუნიციპალიტეტის – ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.vani.org.ge) განთავსების მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) დაიცვას ვანის მუნიციპალიტეტის შინაგანაწესი.

მუხლი 6. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც არის ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირი (საჯარო მოხელე) და რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის მიერ სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ამზადებს და აწვდის წინადადებებს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სამსახურის საშტატო ნუსხის თაობაზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის დასამტკიცებლად წარსადგენად;

გ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

დ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს, შეიმუშავებს წინადადებებს სამსახურის მუშაობის სრულყოფის თაობაზე;

ე) ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის მოსამსახურეთა შორის;

ვ) ქმნის სამსახურის თანამშრომლებისათვის მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვისათვის აუცილებელ პირობებს;

ზ) ამზადებს წინადადებებს სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით;

თ) შეიმუშავებს და წარუდგენს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს, ამ დებულებით განსაზღვრული სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის დასამტკიცებლად წარსადგენად;

ი) წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს წერილობით ინფორმაციას მოსამსახურეთა წახალისების ან დისციპლინურლი პასუხისმგებლობის თაობაზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად;

კ) წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს წინადადებებს სამსახურის მოსამსახურეთა მორიგი და დამატებითი შვებულებების, მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

ლ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა შესახებ;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, გამგებლის დავალებით, მის მოვალეობებს ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი მოხელე.

მუხლი 7. სამსახურის თანამშრომლები

1. სამსახურის თანამშრომლები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეები, რომელთა თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება ხდება „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით, ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ.

2. სამსახურის თანამშრომლებს უფლება აქვთ:

ა) დააყენონ ხელმძღვანელობის წინაშე საკითხი მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ბ) ისარგებლონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო და კომპიუტერული ტექნიკით, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით;

გ) მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;

დ) ისარგებლონ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებითა და გარანტიებით.

3. სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან:

ა) შეასრულონ და დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებები;

გ) იზრუნონ თავისი პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად;

დ) შეასრულონ და დაიცვან შინაგანაწესის მოთხოვნები.

4. სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის თანამდებობრივი რეესტრის“ შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულების შესაბამისად მიღებული ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილებითა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით.

მუხლი 8. სამსახურის ქონება

სამსახურის სარგებლობაში არსებული ქონება წარმოადგენს თვითმმართველი ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

სამსახურის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონით დადგენილი წესით.